

თქვენი აფხაზეთი - 2006-12-06

პაატა ზაქარეიშვილი რატომ და რაზე უნდა ველაპარაკოთ აფხაზებს?

ბოლო დროს, განსაკუთრებით 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, როგორც პრესაში, ისე ინტერნეტ-ფორუმების ფორმატში, შესაშური მონდომებით გაჩაღდა შეტევა ჩემს წინააღმდეგ. ამჯერად შეტევის ობიექტი აფხაზეთის კონფლიქტში ჩემი მრავალწლიანი საქმიანობა აღმოჩნდა. შეტევამ ისეთი ინტენსიური ხასიათი მიიღო, რომ აუცილებლად ჩავთვალე პასუხის გაცემა.

პირადად ჩემთვის არაღამაჯერებელი და არასანდოა ინტერნეტ-ფორუმების ფორმატში გამართული დისკუსიები. მიმაჩნია, რომ ფსევდონიმებისა და ზედმეტსახელების უკან ამოფარებული უსახო და უსქესო ადამიანები კარგავენ პიროვნულ თვისებებსა და ღირსებებს. ასეთ შემთხვევებში ისინი იოლად იკავებენ მათთვის მიუღებელ პოზიციებსაც კი და ზნეობრივი არტახების გარეშე იცავენ მათ. ზოგადად, ქცევის ასეთი ანონიმური გამოვლენა კულტურის ერთ-ერთ ფორმაა და საუკუნეების განმავლობაში აპრობირებული და აღიარებულია ხელოვნების სხვადასხვა სფეროებში (მაგ., თეატრი, ლიტერატურა და ა.შ.). მაგრამ სამოქალაქო ურთიერთობების შემთხვევაში ინტერესებისა და პოზიციების დაცვა, როგორც წესი, საჯაროდ და პიროვნული ღირსების წარმოჩენის ფორმით ხდება.

ამიტომ, ფორუმის უსქესო და უპიროვნო წევრებს შევთავაზე, ჩემს მიმართ პრეტენზიები ღია, სამოქალაქო დისკუსიის ფორმატში წარმოედგინათ. შეხვედრა დავნიშნეთ სასტუმრო "თორის" საკონფერენციო დარბაზში 25 სექტემბერს. სამწუხაროდ, შეხვედრაზე სულ 4-5 დაინტერესებული პირი გამოჩნდა. თანაც ჩანდა, რომ მათ შორის არცერთი ის პირი არ იყო, ვინც ინტერნეტ-ფორუმების დისკუსიებში აქტიურად მამუნათებდა. მიუხედავად ამისა, დისკუსია მაინც შედგა და ჩემს მიმართ დასმულ კითხვებს სრული გულახდილობით გავეცე პასუხები. ქვემოთ წარმოგიდგენთ ჩემი გამოსვლის ტექსტს.

მომავალშიც დიდი სიამოვნებით და პასუხისმგებლობით მივიღებ მონაწილეობას ღია, საჯარო დისკუსიაში - ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერ აუდიტორიასთან და ნებისმიერ დროს.

"რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

(მარკოზი 7:16)"

მინდა გითხრათ - მე არ მოვსულვარ აქ იმისათვის, რომ ვუმტკიცო ადამიანებს, რომლებსაც აქვთ აკვიატებული იდეა, თითქოს მე ვყიდი საქართველოს და აფხაზეთის დამოუკიდებლობის მომხრე ვარ, რომ ეს ასე არ არის. ამაზე არსებობს წლების

განმავლობაში გახორციელებული ჩემი საჯარო ქმედებები და ღიად გამოხატული პოზიციები. ეს არ არის ჩემთვის საკამათო თემა. იმიტომ არ ვიმუშავე 15 წელი და იმიტომ არ ჩავდე ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი ამ სფეროში, დღეს რომ ვამტკიცო, რომ აქლემი არა ვარ.

რა არის აფხაზეთის საკითხებში ჩემი აქტიურობის მთავარი აზრი? - ეს არის მუდმივი ზრუნვა, რომ გადავურჩინო აფხაზეთს საქართველო და პირიქით. გადავურჩინო მათ ის საქართველო, რომელიც ჯერ არ არსებობს; დავუტოვო აფხაზეთს შანსი, მომავალში მაინც ელაპარაკოს რომელიღაც, ჯერჯერობით ჰიპოთეტურ, მაგრამ მისთვის მისაღებ საქართველოს; ეს არის - ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით, ველაპარაკო აფხაზებს და ვუთხრა მათ, რომ არ არსებობს საკითხი, რომელზეც მათთან არ შეიძლება საუბარი, დავარწმუნო ისინი, რომ დადგება დრო, სახელმწიფო საქართველო ღირსეული ფორმით შეძლებს მათთან ნებისმიერ საკითხზე დალაპარაკებას და ახსნას, რა გზებითა და მიმართულებებით იქნება შესაძლებელი ქართველებსა და აფხაზებს შორის საერთო ინტერესებზე საუბარი. ამიტომ, ჩემი მკაცრი პოზიცია, ჩემი მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვაჩვენო აფხაზებს, აფხაზი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით, აფხაზი ხალხის შიშების გათვალისწინებით, მათი რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებით - რამდენად უფრო მისაღები და მომგებიანია მათთვის ერთიან სახელმწიფოში ყოფნა, ვიდრე იმ გაუგებარ სიტუაციაში, რაც დღეს არის ჩვენს შორის, ან პერსპექტივაში შეიძლება გვქონდეს ასეთი პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს აქვს უნიკალური შანსი, გახდეს სერიოზული, ღონიერი, თვითკმარი სახელმწიფო თავისი ყველა პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობებით. აფხაზებმაც კარგად იციან ჩემი ასეთი განწყობის შესახებ. ჩვენში ვიღაც აგებს თავის პოლიტიკას იმ აზრის გავრცელებაზე, რომ მე ვზრუნავ აფხაზების დამოუკიდებლობაზე, თუმცა შესანიშნავად იცის, რომ ეს ასე არ არის. ამ აზრის გავრცელება მიზანმიმართულად ხდება, მაგრამ ჩემთვის ეს არ არის მთავარი. მთავარია, ვაკეთო ის საქმე, რაც ხელს შეუწყობს ქართველი და აფხაზი ხალხების დაახლოებას და როცა ჩვენ კვლავ რეალურად ერთი საზოგადოება ვიქნებით, მე არ შემრცხვეს არცერთი მხარისთვის თვალის გასწორება.

ჩემი აქტიურობა ამ მიმართებით გამოიხატება რამდენიმე ფორმით. ყველაზე ღია და საჯარო ფორმა არის ე.წ. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროექტი, სადაც ჩვენ, ქართული და აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლები, 1997 წლიდან მოყოლებული, ვიკრიბებით და საჯაროდ, ანუ ჩართულ მიკროფონთან ვსაუბრობთ ქართული და აფხაზური საზოგადოებისათვის საჭირობოროტო საკითხებზე. შემდეგ ყველაფერ ამას სიტყვა-სიტყვით ვაქვეყნებთ კრებულების სახით. რატომ? იმიტომ, რომ ის, რაზეც გვაქვს დისკუსია, არ დარჩეს მარტო ჩვენს შორის, არ იყოს რაღაც ელიტარული, რაღაც დაფარული შეხვედრა, რომ ქართულმა და აფხაზურმა საზოგადოებებმა ნახონ, სადამდე შეიძლება წავიდეს ქართულ-აფხაზური დიალოგი, რა სიღრმეებს შეიძლება მივაღწიოთ ან პირიქით - ზედაპირულობას. მე მიმაჩნია, რომ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ასე რეგულარულად და თანმიმდევრულად ზემოქმედება საზოგადოებაზე, სამწუხაროდ, სხვა არცერთ პროექტს არ განუხორციელებია.

ამ ფორმატით 1999 წლიდან უკვე 13 ტომი კრებულია გამოცემული. კრებულებს ჰქვია "Аспекты грузино-абхазского конфликта". ისინი თქვენს წინაშე წარმოდგენილი. ეს წიგნები ვრცელდება, რათა ქართულმა საზოგადოებამ იცოდეს, რაზეა ლაპარაკი ამ შეხვედრებზე. ჩემი და ჩემი მეგობრების წინააღმდეგ წამოსული ყველა ისარი ნასროლია ამ წიგნებიდან აღებული კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატების სახით. არც ერთი სხვა ორგანიზაცია, არცერთი პოლიტიკური ძალა არ ხსნის ისე თავის პოზიციებს, თავის სტრატეგიებს ფართო საზოგადოების წინაშე, როგორც ამ პროექტში მონაწილე ადამიანები აკეთებენ ამას.

აქვე მინდა ერთმანეთისგან გავმიჯნო ჩემი და რესპუბლიკური პარტიის (რომლის წევრიც მე ვარ 1990 წლიდან) აქტივობა ცალკეულ საკითხებში. არის შემთხვევები, როცა ჩემი თვალთახედვა ქართულ-აფხაზურ კონტექსტში არ ემთხვევა, გარკვეულ საკითხებში კი სცილდება კიდევ რესპუბლიკური პარტიის თვალთახედვას. ჩვენი პარტიისთვის, სადაც ყველაზე უფრო თავისუფალი აზრი ფასობს, ეს ნორმალური მოვლენაა. რა თქმა უნდა, მე ჩემს პარტიასთან ერთად ვიხილავ გარკვეულ საკითხებს, მაგრამ არის რაღაც პოზიციები, სადაც მე უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს და მეტს ვაკეთებ ამ მიმართულებით. მე ვხვდები, რომ დღეს ეს ხმაური მიზანმიმართულად ატყდა არჩევნების წინ რესპუბლიკური პარტიის დისკრედიტაციის მიზნით. ეს ბუნებრივია; არჩევნების წინ ნებისმიერ ქვეყანაში ხდება მსგავსი თემების ამოტივტივება, პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის მცდელობა, თუმცა, მეც სწორედ არჩევნების წინ მინდა, პასუხი გავცე ჩვენს წინააღმდეგ წამოსულ ყველა ბრალდებას. თქვენს წინაშე ჩვენს მიერ გამოცემული 13 ტომი. ამ კრებულებს არავითარი საერთო არა აქვს რესპუბლიკური პარტიის საქმიანობასთან. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მიიღოს ისინი. უკვე სამჯერ გამოვეცით ეს წიგნები. აშკარაა, რომ მათზე საზოგადოების მოთხოვნილება დიდია, განსაკუთრებით დევნილებში.

ამ პროექტმა დაადასტურა, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის შესაძლოა ნებისმიერ მძიმე თემაზე საუბარი. ამიტომ დაისვა კითხვა - თუ შეიძლება საუბარი მიმდინარეობდეს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის, აკადემიური წრეების წარმომადგენლებს შორის, რატომ არ შეიძლება ასეთივე საუბრები გაიმართოს პოლიტიკოსებს შორის? რადგან ვიცით, რომ პოლიტიკოსებს არ უყვართ საჯარო საუბრები, რადგან ვიცით, რომ მათ ეშინიათ წინ დახვედრებული საკუთარი ფრაზების, ამიტომ შევთავაზეთ მათ სხვა ფორმატი, სადაც პოლიტიკოსები იკრიბებიან დახურულ კარს მიღმა და უფრო თამამ თემებზე საუბრობენ, ვიდრე ამ კრებულებშია წარმოდგენილი. მათ შორის ბევრი ცნობილი პოლიტიკოსია (რომელიც დღეს მე მიტევს ჩემი გამოქვეყნებული სტატიებისა თუ ინტერვიუების გამო). ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. ამაში გასაკვირი არაფერია. ახალ ფორმატში შეხვედრები კონფიდენციალურია და მხარეები თამამად საუბრობენ ნებისმიერ თემაზე. ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მისაღებია, უბრალოდ, დიალოგში მონაწილე მხარეები ხშირად პროვოცირებასაც უწევენ მოწინააღმდეგე მხარეს.

აღნიშნული შეხვედრების ციკლი ატარებს სემინარ-დიალოგის ფორმას. დღეისათვის ჩატარებულია ამ ციკლის თვრამეტი შეხვედრა. შეხვედრათა ამ ფორმატს პირობითად ეწოდება "შლაინინგის პროცესი", რადგანაც პირველი ორი შეხვედრა ჩატარდა ავსტრიის დაბა შტადშლაინინგში. თვრამეტე შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 101

პირმა; აქედან 53 აფხაზური მხარის წარმომადგენელი იყო, ხოლო 48 ქართული მხარის წარმომადგენელი. მონაწილეთა სია შეგვიძლია წარმოგიდგინოთ თქვენი მხრიდან სურვილის გამოთქმის შემთხვევაში.

ეს შეხვედრები რეგულარულად იმართება 2000 წლის თებერვლიდან და მიზნად ისახავს თავისუფალი ფორუმის შექმნას, რომლის ფარგლებში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ, რეალობის გათვალისწინებით, განიხილონ და გააანალიზონ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები. შეხვედრების ფორმატი არაფორმალური და არაოფიციალური ხასიათისაა. მხარეები არ არიან წარმოდგენილები, როგორც დელეგაციები. ამდენად, ამ შეხვედრებზე გადაწყვეტილების მიღება არ ხდება. მონაწილეები წარმომადგენენ არა თავიანთ ინსტიტუტებსა თუ სამსახურებს, არამედ მხოლოდ საკუთარ თავს და შეხვედრაში მონაწილეობენ, როგორც ექსპერტები. მუშაობა ეყრდნობა "ჩათემ ჰაუსის" პრინციპს, ანუ - დაუშვებელია რომელიმე მონაწილის ან მხარის საჯაროდ ციტირება. კონფიდენციალურობის ამ ფორმით უზრუნველყოფილია მუშაობის გულახდილი, პირდაპირი და პრინციპული ხასიათი. პროექტის არსებითი ნაწილია ის, რომ შეხვედრებში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ ქართველი და აფხაზი მაღალი თანამდებობის პირები, პოლიტიკოსები და ექსპერტები. მესამე მხარის წარმომადგენლები, მით უმეტეს, რუსეთის ან, თუგინდ, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შეხვედრებში და დისკუსიებში უშუალოდ არ მონაწილეობენ. აქედან გამომდინარე, ეს პროცესი არის ერთადერთი ფორმატი, სადაც ქართველ და აფხაზ პოლიტიკოსებს რეგულარულად და თანმიმდევრულად ეძლევათ საშუალება, კონფიდენციალურად და მესამე მხარეების გავლენის გარეშე აწარმოონ არაფორმალური დიალოგი; მოწინააღმდეგე მხარის პოზიციებისა და ინტერესების შესწავლითა და გათვალისწინებით განსაზღვრონ საკუთარი სტრატეგია და ტაქტიკური ნაბიჯები; დიალოგის ფორმით დააკონკრეტონ ერთმანეთის ხედვები სხვადასხვა საკითხზე და, შესაბამისად, მოემზადონ მომავალი ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხვედრებისთვის; წარუდგინონ ერთმანეთს და გამოსცადონ სახლში მომზადებული ახალი წინადადებები და იდეები.

პროექტის უშუალო ორგანიზატორები არიან: გერმანული ორგანიზაცია The Berghof Research Center for Constructive Conflict Management (Berlin) (ბერგჰოფის სახელობის კონფლიქტების კონსტრუქციული მართვის კვლევითი ცენტრი) და ბრიტანული ორგანიზაცია Conciliation Resources (London) (შერიგების რესურსები). "შლაინინგის პროცესში" ეს ორგანიზაციები არ მონაწილეობენ, როგორც მხარეები. მათ არ გააჩნიათ საკუთარი პოზიცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ. ისინი მხოლოდ შეხვედრის ფასილიტაციას ახორციელებენ და დიალოგის პროცესში არ ერევიან.

"შერიგების რესურსები" 1997 წლიდან ხელს უწყობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესს. ის უზრუნველყოფს კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის მუდმივი დიალოგის გამართვას და ცდილობს დაარწმუნოს პოლიტიკოსები, ოფიციალური პირები და სამოქალაქო აქტივისტები კონფლიქტის დემოკრატიული და არაძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტის შესაძლებლობაში.

ჩემს პოზიციებს ძირითად ამ შეხვედრებში მიღებული გამოცდილება განსაზღვრავს. ამ შეხვედრებს გააჩნიათ გარკვეული შედეგები. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი შედეგი,

თქვენს წინაშე წარმოდგენილი, ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ გახმაურებული, "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფცია".

ამ შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა მხარეებს შორის ნდობის აღდგენა და შენარჩუნებაა. მე აფხაზეთის ომის დასაწყისიდანვე მომიწია აფხაზეთში ყოფნა. იქ ინტენსიურად ვახორციელებდი სამხედრო ტყვეების გაცვლას, უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიებას და საომარი მოქმედებების ზონაში მშვიდობიანი მოქალაქეების უსაფრთხოების პირობების შექმნას, მათ ევაკუაციას მათთვის შედარებით უსაფრთხო ზონებში. ჯერ კიდევ ომის მიმდინარეობის პერიოდში დარწმუნდნენ აფხაზები, რომ მე გულწრფელად ვემსახურებოდი ჩემი ქვეყნის მოქალაქეებს - როგორც ქართველებს, ისე აფხაზებს. მე მათთან საუბარშიც ხშირად აღვნიშნავდი, რომ ვემსახურებოდი მათ იმიტომ, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები იყვნენ. მე არასოდეს მიჭირდა ამის თქმა და მათ არასოდეს ჰქონიათ ჩემგან ამის მოსმენის კომპლექსი. მე არ ვყოფილვარ მოხალისე, მე ვიყავი ოფიციალურად წარგზავნილი პირი, რათა ტყვეების გაცვლა მეწარმოებინა, დაეხმარებოდი ადამიანებს ორივე მხარეს.

ომის დროს მოპოვებულმა ნდობამ საშუალება მომცა, ომის შემდეგაც გამეგრძელებინა აფხაზურ მხარესთან ნდობის შენარჩუნებისკენ მიმართული პროექტების განხორციელება. რაც უფრო ხშირი კონტაქტები მქონდა აფხაზებთან, მით უფრო მიღრმავდებოდა განწყობა, რომ აფხაზები მზად იყვნენ, მიეღოთ ჩვენგან წინადადებები და განეხილათ ისინი ქართულ მხარესთან ერთად. მე მუდმივად ვახმოვანებდი ჩემს განწყობას ყველასთან, მათ შორის, მაღალი დონის პოლიტიკოსებთანაც. "შლაინინგის" ერთ-ერთ შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს უშიშროების საბჭოს თანამშრომელი და მან პირდაპირ აღიარა, რომ მე არ ვცდებოდი და რომ აფხაზები ნამდვილად იყვნენ მზად რაღაც მნიშვნელოვანი შეთავაზებების განსახილველად. შეხვედრიდან დაბრუნების შემდეგ ამ პიროვნებამ შემოგვთავაზა, ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი შეხედულებები კონცეფციის სახით და თუ ამ საქმეს თავის თავზე აიღებდა სამოქალაქო სექტორი, მან აღგვითქვა, რომ ხელისუფლება ყურადღებით განიხილავდა წარმოდგენილ კონცეფციას.

რადგან იყო შეკვეთა და ხელისუფლება უარს არ ამბობდა ჩვენი წინადადებების განხილვაზე, ოპერატიულად დავიწყეთ მუშაობა. თუმცა კი გვქონდა გამოცდილება - როგორ უკვეთავს ხელისუფლება სამოქალაქო სექტორს გარკვეული დოკუმენტის შექმნას, შემდეგ კი - როგორ დებს თაროზე მას. ამის სანიმუშო მაგალითი იყო ანტიკორუფციული ჯგუფის მიერ შექმნილი დოკუმენტი. შევარდნაძემ შეუკვეთა კომპეტენტურ ჯგუფს ანტიკორუფციული პროგრამის შექმნა. ჯგუფმა შედეგიანად იმუშავა და დათქმულ ვადებში შესაბამისი პროგრამა დაიდო, მაგრამ შემდეგ ხელისუფლებას "აღარ დასჭირდა" ამ პროგრამის განხორციელება. გამოცდილება იყო უიმედო, მაგრამ ცდა მაინც ღირდა. რადგან მე უკვე მქონდა გამოცდილება, როგორ უნდა ითანამშრომლოს არასამთავრობო სექტორმა ხელისუფლებასთან (ეს შევარდნაძის დროს უფრო იყო შესაძლებელი; დღევანდელ ხელისუფლებასთან კი აბსოლუტურად გამორიცხულია სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობა), დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. სასწრაფოდ შეიქმნა ჯგუფი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან. მაშინ სამოქალაქო სექტორში ვიყავით: კოტე კუბლაშვილი, ივლიანე ხაინდრავა, თინათინ ხიდაშელი, დავით დარჩიაშვილი, არჩილ გეგეშიძე და

მე, პაატა ზაქარეიშვილი. ეს ადამიანები ერთი წლის განმავლობაში, 2003 წლის მარტიდან 2004 წლის მარტამდე ქმნიდნენ იმ კონცეფციას, რომელმაც შემდეგ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი რეზონანსი გამოიწვია. ამასობაში მოხდა რევოლუცია. შემკვეთი, ძველი ხელისუფლების სახით, აღარ არსებობდა. მაგრამ ხელისუფლებაში მოვიდნენ ჩვენი მეგობრები, მათ შორის ისინიც, ვინც კონცეფციის შექმნაში უშუალოდ იღებდა მონაწილეობას: კოტე კუბლაშვილი გახდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ივლიანე ხაინდრავა გახდა პარლამენტის წევრი. გოგა ხაინდრავა, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობდა კონცეფციის შექმნაში, მაგრამ კარგად იცოდა, თუ როგორი სამუშაო სრულდებოდა და ელოდა კიდეც მის დასრულებს, გახდა სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხში. დავით დარჩიაშვილი გახდა ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" აღმასრულებელი თავმჯდომარე. იგი ხელისუფლების წარმომადგენელი არ არის, მაგრამ ფრიად დაახლოებულია სახელისუფლებო წრეებთან. და მიუხედავად იმისა, რომ კონცეფციის ავტორები "კარგად" მოვიდნენ ხელისუფლებაში, ხელისუფლება ჯერაც არ შეხება ამ დოკუმენტს. აფხაზები კი დღემდე ელიან ხელისუფლების რეაქციას ამ დოკუმენტზე. მათ იციან კონცეფციის არსებობა, მაგრამ ელიან ოფიციალურ დოკუმენტს. მე არაერთხელ მითქვამს ამის შესახებ. გაზეთ "ახალ ვერსიაში" დაიბეჭდა ინტერვიუ სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრ შამბასთან, სადაც პირდაპირ ეკითხებიან მას: "ქართულმა მხარემ აფხაზეთის დაბრუნების რამდენიმე კონცეფცია შეიმუშავა. ამ პროექტებიდან რომელიმეს თუ იცნობთ? არ გაგჩენიათ ინტერესი, გაერკვეთ, რა წერია ამ დოკუმენტებში, რას გთავაზობთ ქართული მხარე?" შამბას პასუხი: "ჩვენთვის არაფერი შემოუთავაზებიათ. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ოფიციალურ დონეზე არავითარი კონცეფცია არ არსებობს. თუ მხედველობაში ის კონცეფცია გაქვთ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოამზადეს, ის საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების მიერ არც კი არის განხილული. ჩვენთვისაც არავის შემოუთავაზებია. ამდენად, მასზე საუბარი რთულია." ჟურნალისტი: "ოფიციალურად რომ შემოეთავაზებინათ, განიხილავდით?" შამბა - "რა თქმა უნდა, აუცილებლად განვიხილავდით".¹

ცხადია, აფხაზებმა იციან და კარგადაც იციან ამ კონცეფციის შესახებ. ჩვენ მათ არაოფიციალურად გადავეცით კონცეფციის ტექსტი. ერთმა საკმაოდ მაღალი დონის აფხაზმა პოლიტიკოსმა მითხრა, რომ სამჯერ წაიკითხა კონცეფცია. იმ მომენტში იქ კიდეც 5-6 აფხაზი იყო და ამ ადამიანმა უკომპლექსოდ აღიარა, რომ სამჯერ წაიკითხა დოკუმენტი, ანუ ჩაუღრმავდა... ეს პატარა დოკუმენტი არ არის, საკმაოდ დიდი მოცულობისაა. ადამიანს არ დაეზარა, წაიკითხა კიდეც და კიდეც....

აფხაზები ამ დოკუმენტს, რა თქმა უნდა, ტაშ-ფანდურით არ მიიღებენ, მაგრამ ნამდვილად განიხილავენ, რაღაცაზე წამოვლენ, რაღაცაზე არა...

ჩემი სტრატეგია სწორედ ისაა, რომ აფხაზებთან დიალოგი მდგრადი და შეუქცევადი პროცესი იყოს. დავაჯეროთ აფხაზები, რომ საქართველოში რაღაც ძვრებია, ველაპარაკოთ, თუნდაც, მათ ილუზორულ დამოუკიდებლობაზე; მთავარია ველაპარაკოთ ისე, რომ რაც შეიძლება მალე მიხვდნენ - მათ დამოუკიდებლობას

¹ ახალი ვერსია #393 2005-10-24. ნინო ჯაფარიძე. "იცით, რა თქვა ერთმა დევნილმა, რომელიც გალში დაბრუნდა?..."

არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია. სულ სხვაა, როცა ისინი დამოუკიდებლობაზე საუბრობენ რუსებთან და სულ სხვაა, როცა ისინი ასეთ დამოუკიდებლობაზე საუბრობენ ქართველებთან. განსხვავებით უცხოელებისგანაც, რომლებთანაც აფხაზები უაპელაციოდ ლაპარაკობენ დამოუკიდებლობაზე, ჩვენთან ასეთ დაუსაბუთებელ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი უჭირთ.

დღეს კი... მათ არ უნდათ საქართველოსთან ყოფნა, იმ საქართველოსთან ყოფნა, სადაც პოლიცია ქუჩაში ხოცავს ადამიანებს, სადაც სასამართლო არ არსებობს, სადაც არაფრად ფასობს ადამიანის უფლება. უამრავი, უამრავი მიზეზის გამო, რატომაც ჩვენც არ მოგვწონს დღეს საქართველო, მათ რა მოვაწონოთ? მაგრამ როგორმე უნდა შევინარჩუნოთ აფხაზეთი მომავალი ძლიერი, მართალი და დემოკრატიული საქართველოსთვის. როცა გახდება საქართველო სახელმწიფოებრივი ღირსებების მატარებელი ქვეყანა (არ ვიცი, როდის იქნება ეს. მე მოვესწრები? ჩემი შვილები მოესწრებიან?), იმ დროისათვის მაინც რომ შევინარჩუნოთ აფხაზეთი. მაშინ მაინც, ჩვენმა ერმა მათ ღირსეული პირობები შესთავაზოს. არანაირი შანსები არ არსებობს აფხაზეთის დამოუკიდებლობისა; არავითარი რესურსები არ გააჩნიათ მათ ამისთვის.

ერთხელ, მორიგი ქართულ-აფხაზური შეხვედრა გვექონდა ლონდონში. შეხვედრისას, მე ჩამოვაყალიბე ჩემი არგუმენტირებული ხედვა, რომ აფხაზებს არანაირი შანსი არ აქვთ დამოუკიდებლობისა (ესეც რომ გამოვაქვეყნო, მაინც არ დაიჯერებენ ჩემი ოპონენტები). აფხაზების ჯგუფში სხვებთან ერთად იყვნენ შამბა და გაგულია - აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. მოხსენება რომ დავამთავრე, ორივემ ერთდროულად წამოიძახა - Паата, ты самый опасный грузин. რატომ ვარ საშიში მათთვის? იმიტომ, რომ კარგად იციან, ჩემნაირ ქართველთან მათ დამოუკიდებლობის შანსები ეკარგებათ, არგუმენტები გაუქრებათ, რადგან ქართველებთან აფხაზებს უსაფრთხო და ღირსეული თანაცხოვრების გარანტირებულ პირობებს შევთავაზებ. და აი შამბას სიტყვები უკვე პრესაში. ლაპარაკობს გოგა ხაინდრავაზე. შამბას მისი რაღაც განცხადება არ მოეწონა. შამბა: - "Высказывание Хаиндрава лишь роняет его авторитет, как представителя грузинской стороны на переговорах. Поэтому это в наших интересах. Для нас будет хуже, если его заменит, скажем, политкорректный, правильный Паата Закареишвили²." ეს არ არის ქუჩაში გამვლელი აფხაზის ნათქვამი. ეს განცხადება ეკუთვნის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრს. მათ ურჩევნიათ აგრესიული ქართველები იმ ქართველებს, რომლებიც არავითარ შანსს არ უტოვებენ აფხაზებს, რათა აქეთ შემოგვიტიონ. როცა მინიმუმზეა დასული აგრესია ჩვენი მხრიდან, აფხაზებს არგუმენტები უმცირდებათ თავიანთი დამოუკიდებლობის შესახებ და ჩიხში ექცევიან. აი, ეს სტრატეგია აღიზიანებს ყველაზე მეტად ჩვენს ხელისუფლებას. რატომ? იმიტომ, რომ დღეს მე მათ ბანაკში არ ვიმყოფები.

დასამალი არ არის, რომ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, 1992 წლიდან, ჩემდა სამარცხვინოდ, საკმაოდ ახლოს ვიყავი სააკაშვილთან. განსაკუთრებით, როცა ის იუსტიციის მინისტრი იყო, მე კი მის მიმართ დაქვემდებარებულ პენიტენციურ სისტემაში ვმუშაობდი. იუსტიციის მინისტრმა სააკაშვილმა შესანიშნავად იცოდა მაშინ, რას ვაკეთებდი, რა საქმიანობას ვეწეოდი. მაშინ იმდენი საქმე იყო ციხეებში საკეთებელი, პრაქტიკულად სულ იქ მიწევდა ყოფნა, მაგრამ როცა აფხაზებთან მქონდა

² AAMTA, Сухым, Abxazia.info, 25/02/2006

შეხვედრები, იგივე მინისტრი სააკაშვილი უპრობლემოდ მიშვებდა ამ შეხვედრებზე. მან იცოდა, რომ ეს ჩვენი საერთო პერსპექტიული საქმე იყო. მან იცოდა, რომ აფხაზებთან კონტაქტი აუცილებლად დაგვჭირდებოდა მომავალში. ერთხელ თბილისში ჩამოყვანილი გვყავდა აფხაზები. მე ისინი შევახვედრე მინისტრ სააკაშვილს. აფხაზებს არ მოეწონათ მასთან შეხვედრა, რადგან მინისტრი მხოლოდ საკუთარ თავზე ლაპარაკობდა და საერთოდ არ უსმენდა მათ. უცნაური იყო ეს, რადგან მის წინ იყვნენ ცნობილი სახეები აფხაზეთისა, ცნობილი სახეები არასამთავრობო სექტორისა, მას კი მხოლოდ საკუთარ თავზე სურდა საუბარი. აფხაზებმა ჰკითხეს მინისტრს, გააჩნდა თუ არა რაიმე სტრატეგია აფხაზეთის შესახებ, მან კი ჩემზე მიუთითა და თქვა: "Паата Закареишвили все знает". ამით მან თქვა, რომ ამ საკითხზე ისევე ფიქრობდა, როგორც პაატა ზაქარეიშვილი. მოხდა რევოლუცია და ჩემსა და სააკაშვილის რაზმს შორის გაუცხოებამ ნელ-ნელა იმატა და უეცრად ის, რასაც ზაქარეიშვილი აკეთებდა აფხაზეთის თემებთან დაკავშირებით, მიუღებელი აღმოჩნდა სააკაშვილისათვის. რა თქმა უნდა, მე მიტევებ ნადირაძეებისა და თარგამაძეების დონიდან, მაგრამ კარგად ვხვდები, საიდან ქრის ქარი. პრეზიდენტი ხშირად თავს ვერ იკავებს და სხვადასხვა გამოსვლაში საღანძღავ კონტექსტში ირიბად მოიხსენიებს ჩემს ხედვებს აფხაზეთთან დაკავშირებით. მაგალითად: "გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტის გაღვივება სურს. სად არიან დღეს ეს მარკოზაშვილები. რატომ არ იღებენ ხმას იმაზე, რომ აჭარა თავისუფალია და ბათუმში საქართველოს დროშა ფრიალებს. დღეს ეს ხალხი იმაზე, რაც აფხაზეთში მოხდა, სეპარატისტების წინაშე ბოდიშის მოხდას ითხოვს. რატომ უნდა მოვიხადოთ ბოდიში? იმიტომ, რომ უდანაშაულო ადამიანები საკუთარი სახლებიდან გამოყარეს? სად არის სამართალი და ჭეშმარიტება? ჩვენ ჭეშმარიტების და არა კაპიტულიანტების მხარეს ვართ³." ეს არის ტიპიური მაგალითი სიყალბისა. სიმართლე და ცილისწამება ერთმანეთშია არეული და, შესაბამისად, ეს სიტყვებიც თითქოს დამაჯერებლად ჟღერს. ჭეშმარიტება კი მართლაც არ არის პრეზიდენტის მხარეს, რადგანაც ის ცილს წამებს ადამიანებს, მათ, ვინც მართლაც ბოდიშის მოხდას მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ არა სეპარატისტების წინაშე, არამედ მთელი ქართველი ერის წინაშე. პირველ რიგში, აფხაზების, ოსების და იმ იძულებით გადაადგილებული პირების წინაშე, ვინც უმწიფარი და დანაშაულებრივად წინდაუხედავი ქართული პოლიტიკის შედეგად, ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე, დღესაც დევნილობაში იმყოფება. რაც შეეხება ასლან აბაშიძის ფაქტორის ნეიტრალიზაციის საქმეში ჩემი (მოკრძალებული) და ჩემი მეგობრების (მნიშვნელოვანი) წვლილის არდანახვას, ეს პრეზიდენტის სინდისზე იყოს. სხვათა შორის, აჭარაში საქართველოს დროშა ყოფელთვის ფრიალებდა.

როგორც ითქვა, პრეზიდენტის მიერ ამ კატეგორიის ადამიანების გვარები, კოლმეურნეობის თავმჯდომარის გვარის არ იყოს, "სულგრძელად" არ კონკრეტდება. სამაგიეროდ, მისი გარემოცვა აფრიალებს ჩემს გვარს იმ ციტატებთან ერთად, რომლებიც საგულდაგულოდ აქვთ ამოგლეჯილი ჩვენს მიერვე გამოცემული წიგნებიდან. ციტატის დასაწყისი, ციტატის დასასრული არ აინტერესებთ, მთავარია, ჩემს ნათქვამში მოიძებნოს ფრაზა, რომელიც ჩემს "მოღალატეობას" დაადასტურებს. და

³ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა პატრიოტთა პირველ ეროვნულ ფორუმზე. 11 სექტემბერი 2005. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ისინიც თავგამოდებულნი ეძებენ... კი ბატონო! მიზანი რა არის - მე ჩამძირონ? მე ვერ ჩამძირავენ. ჩემს უკან არაფერია, გარდა გულწრფელი სურვილისა, ღირსეულად და სამართლიანად დავიბრუნოთ აფხაზეთი. მე ხომ სკამის შესანარჩუნებლად ან მის დასაკავებლად არ ვიბრძვი. ადვილად ვერ წამომიკიდებენ ზურგზე, რადგან იციან, რომ ბიზნესი მე არ მაქვს, კორუფცია ჩემგან ძალიან, ძალიან შორსაა, კანონმორჩილი ადამიანი ვარ, დანაშაულს არ ჩავიდენ. სუბოტექსს არ მოვიხმარ და არც ვავრცელებ. როგორ შემომედაონ? როგორ და რესპუბლიკურ პარტიას შეუტევენ არჩევნების წინ, აქაოდა, მოღალატეები გყავთ რიგებშიო.

აი, აქ დევს წიგნი "Абхазия в предвыборном меню грузинских политиков". ამ წიგნის შედგენა დაიწყო შევარდნაძის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცოდით, რომ შევარდნაძე ჩააფლავებდა აფხაზეთის თემას და გვინდოდა, წინ დაგვეხვედრებინა მისთვის საკუთარი უმოქმედობა იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებით გაიხანგრლივებდა ხელისუფლებაში ყოფნას. მაგრამ მოხდა რევოლუცია; ჩატარდა მეორე არჩევნები - უკვე სააკაშვილის პრეზიდენტობის; ჩატარდა მესამე არჩევნები - სააკაშვილის პარლამენტის. შესაბამისად, დაგვიგროვდა საკმაოდ სერიოზული მასალა. გვინდოდა, წიგნი შეგვექმნა შევარდნაძის წინააღმდეგ და გამოვიდა სააკაშვილის წინააღმდეგ. არჩევნებიდან არჩევნებამდე პრეზიდენტს საერთოდ არაფერი უთქვამს აფხაზეთზე, აბსოლუტურად არაფერი. ადამიანს საერთოდ არ გახსენებია თავისი ქვეყნის ეს მხარე. დღეს კი თურმე აფხაზეთი ესიზმრება.

ახლა კი, თქვენის ნებართვით, პასუხს გავცემ იმ კითხვებს, რომლებიც ინტერნეტ ფორუმის ანონიმურმა აქტივისტებმა დამისვეს. იყო ასეთი კითხვა - "ითვალისწინებს თუ არა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გზები ძალის გამოყენებას, რომ მიზანს მივაღწიოთ?" რა თქმა უნდა, ითვალისწინებს. რამდენად მიზანშეწონილია ძალისმიერი ქმედება, ესაა შესაფასებელი. მე ვფიქრობ, რომ დღევანდელ საქართველოში შეუძლებელია ასეთი რამ. მეორე კითხვაც ამას ეხება: "ძალისმიერი გზების სრული უარყოფა რამდენად არის შესაძლებელი?" სრული უარყოფა არ არის აუცილებელი. საკმარისია, ამ ეტაპზე უარყოფოთ და უცებ გამოჩნდება მრავალი სამშვიდობო ალტერნატივა. საკითხავი ის არის, რამდენად შეგვიძლია დღეს, მივაღწიოთ წარმატებას ძალისმიერი მეთოდებით, როცა არანაირი სამშვიდობო ნაბიჯები არ გადაგვიდგამს. მე სულაც არ ვარ შეუვალი ამ საკითხში და ვამბობ, რომ სამი ან ათი წლის შემდეგ, როცა საქართველო ყველა სამშვიდობო რესურსს ამოწურავს და ნახავს, რომ აფხაზები არაფერზე არ მოდიან, მიიღოს გადაწყვეტილება ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შესახებ. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ - აფხაზები გაცილებით იოლად წამოვლენ ჩვენს სამშვიდობო წინადადებებზე, ვიდრე ქართულ საზოგადოებას წარმოუდგენია. ეს იმდენად მცირერიცხოვანი ერია, რომ მათში საკმაოდ სერიოზული ინსტინქტია თვითგადარჩენისა და აუცილებლად წამოვლენ თანამშრომლობაზე, თუკი მათ შევთავაზებთ უსაფრთხოებისა და განვითარების უცილობელ გარანტიებს.

მე ისიც მესმის, რომ ძალისმიერი მეთოდის უარყოფაც არ შეიძლება, მაგრამ კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ყველაფერი. გვყავს ძლიერი ჯარი? კარგია. და რაც უფრო ძლიერი ჯარი გვეყოლება, მით უკეთესი იქნება, მაგრამ საქართველოს ტიპის სახელმწიფოები ჯარით ვერ წყვეტენ ამოცანებს. ჩვენისთანა ქვეყანას ჯარი სჭირდება იმისათვის, რომ სხვამ ვერ განახორციელოს თავისი ამოცანები. ჯარი არის დაახლოებით ის, რაც არის რკინის კარი. ჩვენს საზოგადოებაში რომ იყოს

უსაფრთხოების მაღალი დონე, ჩვენ არ დავკიდებთ ჩვენი სახლის შესასვლელში რკინის კარს. მე ვკიდებ რკინის კარს იმიტომ, რომ პოტენციურ ქურდს ვუთხრა - მე კარგად ვარ დაცული. მე რომ მყავს ჯარი, გარკვეულ გზავნილს ვუგზავნი ჩემს არაკეთილმოსურნეს. ჩვენ ძალიან ბევრ ფულს ვხარჯავთ კარგი ჯარისთვის, ჩვენი უსაფრთხოებისთვის, რათა არ დავკარგოთ ის, რაც გვაქვს. როგორც კი ჯარს დავაკისრებთ ფუნქციას, ძალის გამოყენებით აღადგინოს იურისდიქცია უკონტროლო ტერიტორიებზე, სწორედ იმ დღეს დავკარგავთ ტერიტორიულ მთლიანობას იმიტომ, რომ სხვას ჩვენზე ძლიერი ჯარი ეყოლება. და ეს სხვა არის რუსეთი. ამიტომ, ამ ეტაპზე, ყოველად დაუშვებელია ამ მიმართულებით პოლიტიკის აგება. კი ბატონო, ვიმსჯელოთ ძალის გამოყენებაზე, ვიმსჯელოთ ძალიან ბევრი, მაგრამ ნუ ჩავიდნენთ ამას.

მე მიმაჩნია, რომ ძალის გამოყენება არ არის მორალის სფერო, ეს არის პოლიტიკის სფერო.

კითხვა - "რატომ ვერ ვენდობი რესპუბლიკურ პარტიას (საუბარია იმაზე, რომ რესპუბლიკური პარტია აფხაზეთის დამოუკიდებლობას "აღიარებს" და მათი ხელისუფლებაში მოსვლა აფხაზეთის დაბრუნების გარანტი ვერ იქნება)?"

ეს, რბილად რომ ვთქვათ, სიცრუეა. ცოტა სასაცილოა, როცა გედავებიან იმაზე, თუ რა თქვი მაინცა და მაინც 2001 წელს და არ აინტერესებთ, რა კონტექსტში თქვი ის, რაც თქვი და რას ამბობ თანმიმდევრულად 2001 წლიდან დღემდე. მე კი ყოველთვის, 2001-შიც, 2002-შიც, 2003-შიც და ახლაც ვამბობ, რომ აფხაზებს არ აქვთ დამოუკიდებლობის არანაირი შანსი და რანაირად ვაღიარებთ იმას, რისი არსებობაც შეუძლებელია? მინდა, მკაფიოდ ვთქვა - რესპუბლიკური პარტია გამორიცხავს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. რესპუბლიკური პარტია არის ერთადერთი პარტია, რომელსაც შესწევს უნარი, ელაპარაკოს აფხაზებს. ეს არის პარტია, რომელსაც არ ეშინია და არ სცხვენია აფხაზებთან ლაპარაკის, რადგან იცის, რომ შეიძლება და აუცილებელია ამ ხალხთან ლაპარაკი. რესპუბლიკურ პარტიას შესწევს უნარი, ნორმალური ურთიერთობები ჰქონდეს აფხაზებთან (არა მარტო აფხაზებთან, უკვე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზეც იგრძნობა ჩვენს მიმართ პატივისცემა). ხელისუფლებას კი სწორედ ამის შიში აქვს. მან ძალიან კარგად იცის, რომ რესპუბლიკურ პარტიას შეუძლია შესთავაზოს საზოგადოებას ის, რისი შეთავაზებაც ხელისუფლების პოლიტიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს აღემატება. ეს არის საზოგადოების ნებისმიერ ფენასთან, მათ შორის აფხაზებთან და ოსებთანაც, დიალოგი. ამიტომ ხელისუფლებას ურჩევნია, საერთოდ ჩააგდოს აფხაზეთის საკითხი, ვიდრე სხვა, თუნდაც წინათ მისმა მოკავშირე რესპუბლიკურმა პარტიამ, გააკეთოს ეს. მე ვფიქრობ, ამაზეა აგებული და დაფუძნებული რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ მიმართული ვაკხანალია.

ჩემთვის მისაღებია ნებისმიერ თემაზე დისკუსია; აკრძალული თემები - ეს არის ადამიანის შეზღუდულობა. საზოგადოება ღია და თავისუფალი არის იქ, სადაც არ არის აკრძალული თემები. ჩვენ ამა თუ იმ ფორმით ჯერ კიდევ ვახერხებთ ნებისმიერ თემაზე დისკუსიის გამართვას, თუმცა აშკარად ჩანს, რომ ხელისუფლებას სურს, ტაბუ დაადოს ამა თუ იმ თემას. და თუ ამას მიაღწია, ეს ძალიან დააზარალებს საზოგადოებრივ ინტერესებს. არ შეიძლება აკრძალული იყოს საუბარი თუნდაც აფხაზეთის

დამოუკიდებლობაზე. თუ ამაზე არ ალაპარაკებ აფხაზებს შენთან საუბარში, ისინი ვერ მიხვდებიან, რომ ეს აბსურდია. მანამ, სანამ შენ აფხაზს ამაზე არ ელაპარაკები, ჰგონია, რომ შენ ამის გეშინია. და თუ შენ თავისუფლად საუბრობ ამაზე, ის თავად შედის ჩიხში. ჩვენს ერთ-ერთ შეხვედრაზე გვქონდა ასეთი შემთხვევა - დავიწყეთ მსჯელობა აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე. იქ იყვნენ ქართველი წონიანი პოლიტიკოსები, ახლა რომ ხმას არ იღებენ ჩემს წინააღმდეგ წამოსულ ბრალდებებზე. ვიმსჯელეთ აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე და აფხაზებმა მოულოდნელად განაცხადეს - ჩვენ არ გვინდა ასეთი დამოუკიდებლობა. ქართველები მათ დავებმართ, თავად შეექმნათ ისეთი მოდელი, რომელიც იქვე თავადვე უარყვეს. რა სჯობს - გვეშინოდეს აფხაზებთან ამ თემებზე საუბრის და ამიტომ მათ სწამდეთ თავიანთი დამოუკიდებლობის პერსპექტივისა, თუ ვისაუბროთ მათთან, ვიდრე თავად არ მიხვდებიან ამ იდეის უპერსპექტივობას? ჩვენ ამაზე უნდა ვიმსჯელოთ, რათა ეს გამოვრიცხოთ. ამიტომ, მე არ მეშინია, აფხაზებთან ვილაპარაკო დამოუკიდებლობაზე. მე ვიცი, რომ აფხაზებს დამოუკიდებლობის არანაირი შანსები არა აქვთ. თუმცა ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ, ჩვენ, რესპუბლიკური პარტია, აფხაზეთის დამოუკიდებლობას საერთოდ არ განვიხილავთ, ვინაიდან მას ვთვლით საქართველოს განუყოფელ ნაწილად. ქართველების ისეთივე სამშობლოდ, როგორც აფხაზების. შესაბამისად, მსჯელობა აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე აფხაზებთან, ეს არის მცდელობა მუდმივმოქმედ დიალოგში და თანამშრომლობაში გადავიყვანოთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, სადაც ადგილი ექნება როგორც აფხაზეთისთვის მნიშვნელოვანი საკითხების, ისე ქართული საზოგადოებისათვის საჭირობო საკითხების განხილვას.

კითხვა - "რესპუბლიკელები რასაც აფხაზეთის ირგვლივ საუბრობენ და რასაც კონცეფცია ითვალისწინებს, ცდილობენ, მოსახლეობა დაამშვიდონ და შეაგუონ სტატუს-კვოს. რა განცხადებებით ამშვიდებს პაატა ზაქარეიშვილი მოსახლეობას და რა დგას ამ განცხადებების უკან?"

რესპუბლიკური პარტია ერთადერთი პოლიტიკური ორგანიზაციაა საქართველოში, რომელმაც ჯერ კიდევ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე დაიწყო და მას შემდეგ არ შეუწყვეტია მუშაობა აფხაზურ პრობლემატიკაზე. კონცეფციების შექმნა და საზოგადოებისათვის წარდგენა კი მოსახლეობის დამშვიდებასა და სტატუს-კვოს შენარჩუნებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ პირიქით - ფიქრის, დისკუსიის, ახალი მიდგომების ჩამოყალიბების, გამოსავლის ძიების ხელშეწყობას გულისხმობს.

ამ, კონკრეტულად ჩემი განცხადებების უკან კი დგას ჩემი 15 წლიანი გამოცდილება აფხაზებთან ურთიერთობისა, ცოდნა იმ სფეროში, რომელშიც ვმოღვაწეობ, პასუხისმგებლობა და საღი აზრი. აფხაზეთის უკან კი არაფერი არ დგას. მსოფლიოს ყველა სეპარატისტული რეგიონის ზურგსუკან მოიაზრება გარკვეული რესურსები: ყარაბაღის უკან არის ეთნო-კულტურული სახელმწიფო - სომხეთი. გარდა ამისა, დიასპორაში არსებული უდიდესი ფინანსური თუ პოლიტიკური ბერკეტები. სომხეთს არ დაესიზმრება ის ფული, რასაც დიასპორა აწვდის ყარაბაღს სომხეთის გვერდის ავლით. ჩრდილოეთ კვიპროსს თურქეთი ეხმარება თავისი მზარდი რესურსებით; კოსოვოს - ალბანეთი, ჩრდილოეთ ირლანდიას - ირლანდიის რესპუბლიკა და აშშ-ში მცხოვრები დიასპორა და ა.შ. ყველა სეპარატისტული კვაზისახელმწიფოს უკან დგას მონათესავე ეთნოკულტურული სახელმწიფო, აღიარებული საერთაშორისო

სამართლის მიერ. აფხაზების უკან არავინ არ დგას. ოსების უკანაც კი ჩრდილოეთ ოსეთი დგას, რომელსაც გარკვეული რესურსები გააჩნია, მცირედი, მაგრამ მაინც. აფხაზებს კი ვინ ჰყავთ? სხვაგან არსად არანაირი აფხაზეთი არ არსებობს. არსებობს ნეოიმპერიალისტური რუსეთი, რომელსაც საერთოდ არ ანაღვლებს აფხაზების პერსპექტივები.

ჩვენი მეორე რესურსი - აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობაა. ის დღესაც კი - ქართველების უმეტესობის დევნილობის პირობებში, არ არის აფხაზი ეთნოსის სასარგებლოდ. აფხაზები თავის ტერიტორიაზე დღესაც კი უმცირესობაში არიან. ქართველების, რუსებისა და სომხების ჯამი ორჯერ და მეტად აღემატება აფხაზების რაოდენობას აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ სამ ერს სულ სხვადასხვა ინტერესები აქვს. სომხები ვერავითარ პერსპექტივას ვერ ხედავენ დამოუკიდებელ აფხაზეთში; მათ რუსეთთან მაქსიმალურად ინტეგრირებული აფხაზეთი უფრო ხიბლავთ. რუსებსაც - რუსეთის შემადგენლობაში არსებული აფხაზეთი ურჩევნიათ. ქართველებს ხომ სულაც არაფერში სჭირდებათ აფხაზეთის დამოუკიდებლობა, მათი პერსპექტივები საქართველოსთანაა დაკავშირებული. ანუ - დამოუკიდებლობაზე ოცნებობს მხოლოდ ეთნიკურად აფხაზი მოსახლეობა, რომელიც უმცირესობაშია თავისივე ტერიტორიაზე. თვით აფხაზურ მოსახლეობაშიც ორადღაა აზრი გაყოფილი. ეს დაადასტურა არჩევნებმა ხაჯიმბასა და ბაღაფშის მომხრეების ქცევით. ბაღაფში და მისი გუნდი იყვნენ პროაფხაზურ პოზიციებზე, ანუ აფხაზეთის დამოუკიდებლობის მომხრებად აცხადებდნენ თავს. ხაჯიმბას მომხრეები კი გამოკვეთილად პრორუსული პოზიციებიდან მოქმედებდნენ. ყველა დანარჩენ სეპარატისტულ რეგიონში - ყარაბახშიც, ჩრდილოეთ კვიპროსზეც და კოსოვოშიც აბსოლუტური უმრავლესობა სეპარატიზმის მატარებელი ეთნოსის წარმომადგენლები არიან: სომხები - ყარაბახში, თურქები - ჩრდილოეთ კვიპროსზე, ალბანელები - კოსოვოში. კოსოვოში ორი მილიონი ალბანელია. ორი მილიონი საკმარისია იმისათვის, რომ სახელმწიფო შექმნას. აფხაზი კი, 80 ათასიც რომ იყოს, სახელმწიფოს ვერ შექმნის. ანუ, ეს რესურსი მათ არ გააჩნიათ. ეკონომიკა სრულიად გაჩანაგებულია. დანგრეულია მთელი აფხაზეთი. სტეპანაკერტში (ყარაბახში) რომ ჩახვალ, დანგრეულ სახლს ვერ ნახავ, აფხაზეთი კი სრულიად დანგრეულია. ფული არ აქვთ, რომ მშენებლობა დაიწყონ. კურორტია, მაგრამ ფული არ შემოდის. რაც შემოდის, ჯიბეებში მიდის, რადგან კორუფცია ყვავის. აფხაზეთის ეკონომიკის ასაღორძინებლად საჭიროა, სულ მცირე, მოსახლეობის 600 000-მდე გაზრდა, რათა 2 მილიონი ტურისტი მაინც მიიღოს და ეკონომიკა ფეხზე დადგეს.

რაც შეეხება კოსოვოს მოდელთან აფხაზეთის შედარებას - ეს არის მცდარი პოზიცია. კოსოვოს ყიდულობენ სერბეთისგან. ფასი არის ევროკავშირის წევრობა. ევროკავშირში გაწევრიანებით მთლიანად ერთიანდება მთელი ბალკანეთი, და ვინ მოიგებს ამით, კიდევ საკითხავია. სერბეთი ამით მეტად მოიგებს, რადგან სერბები ცხოვრობენ ყველგან: მაკედონიაშიც, ბოსნია-ჰერცეგოვინაშიც, ხორვატიაშიც, ჩერნოგორიაშიც. წარმოიდგინეთ, რომ ერთიანდება მთელი ბალკანეთი ევროკავშირში. ყველაფერი ერთია - ფული, პასპორტი, საზღვრები და აქ არის სერბეთი და სერბები თავისი ნაციონალიზმით. ასე, რომ თუ ვინმე მოიგებს ევროკავშირში გაწევრიანებით, ეს იქნება სერბი ეთნოსი. მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, კოსოვოს მოდელი რა იქნება. ასეა თუ ისე, ჩვენ უშუალოდ არ გვემუქრება კოსოვოს პრეცედენტი.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზების დიდ უმრავლესობას არანაირად არ აქვს რუსეთის იმედი. ეს მითია. მათ ეშინიათ რუსეთის, მაგრამ ჩვენი კიდევ უფრო მეტად ეშინიათ. ეშინიათ ჩვენგან მათ მიმართ მიმართული აგრესიის და თუ რამ საერთო აქვთ რუსეთთან, ეს არის სურვილი, დაიცვას რუსეთმა აფხაზები ქართველთა რევანშისგან. როგორც კი მოვსპობთ აგრესიას, მაშინვე მცირდება რუსეთის ფუნქცია აფხაზებისთვის. თუ ჩვენ ხელს შევუწყობთ აფხაზების განვითარებას და ვაგრძნობინებთ მათ, რომ ჩვენგან არ განხორციელდება არანაირი აგრესია აფხაზეთისკენ, რუსეთის როლი მინიმუმამდე დადის მათთვის. დღესდღეობით კი აფხაზებს მინიმალურ, მაგრამ მაინც გარკვეულ გარანტიებს სთავაზობს რუსეთი და არა ჩვენ. ამიტომ აფხაზები გარკვეულწილად ანგარიშვალდებულები არიან რუსეთის მიმართ. მიუხედავად ამისა, მათ ჩაუგდეს რუსეთს არჩევნები, მათ არ მიიღეს რუსეთის კანდიდატი ე.წ. აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე. ჩემის აზრით, ეს გმირობის ტოლფასი იყო.

კითხვა - "პაატა ზაქარეიშვილს არ ენდობიან იმის გამო, რომ თურმე იგი უარს ამბობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე".

თურმე. თურმეზე რა გიპასუხობ? არ არის მართალი, არ ვამბობ. ტერიტორიული მთლიანობა არ დარღვეულა და რის აღდგენაზე ვიტყვი უარს? არავის მსოფლიოში, რუსეთი რომ რუსეთია, მასაც კი არ უღიარებია აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ყველა აღიარებს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას. თურქეთი არის სახელმწიფო, რომელმაც აღიარა ჩრდილოეთ კვიპროსი. რუსეთს არ გაუკეთებია ეს. მას ხელს არ აძლევს ამის გაკეთება, რადგან ის არის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი, დიდი რვიანის წევრი. რუსეთს ძალიან ძვირად დაუჯდება აფხაზეთის აღიარება. აფხაზეთის აღიარებას მისთვის აქვს უამრავი მინუსი და ძალიან ცოტა პლიუსი. აღარ ვლაპარაკობ პროცესებზე ჩრდილოეთ კავკასიაში. ასე რომ, ჩვენ არ გვაქვს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა; ჩვენ ვერ ვახორციელებთ ჩვენს იურისდიქციას ჩვენს მთელ ტერიტორიაზე. ეს კი სულ სხვა საკითხია. თავის დროზე, სრული იურისდიქცია არც აჭარაში ხორციელდებოდა. იქ ასლან აბაშიძის იურისდიქცია ხორციელდებოდა. აფხაზეთში არ ვრცელდება ჩვენი იურისდიქცია, მაგრამ იქ რომ მოხდეს რაიმე სახის დანაშაული, მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაული, ის ჩვენ დაგვბრალდება, საქართველოს, რადგან აფხაზეთი სამართლებრივად ჩვენი და პასუხიც, შესაბამისად, ჩვენ მოგვეთხოვება. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს პრობლემა ტერიტორიულ მთლიანობასთან, ჩვენ პრობლემა გვაქვს იურისდიქციის გავრცელებასთან აფხაზეთის ტერიტორიაზე.

კითხვა - "იყო თუ არა პაატა ზაქარეიშვილი ომის მონაწილე?"

ომის დროს აფხაზეთში ვიყავი, მაგრამ არა საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად. სანდრო კავსაძე იყო სახელმწიფოს მეთაურის (შევარდნაძის) პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტში. მე ვიყავი მისი მოადგილე ჰუმანიტარულ საკითხებში. ეს ჩემი სამსახური იყო. მე მეომარი არ ვიყავი, იარაღი არ მეჭირა. იქნებ სასაცილოდ ჟღერდეს, მაგრამ იარაღის ხელში აღება ჩემს ფილოსოფიას, ჩემს ქრისტიანობას ეწინააღმდეგება. მითუმეტეს, სამოქალაქო-პოლიტიკური გაგებით ჩემთვის აფხაზიც ქართველია. ეს მორალური მომენტი. ასე რომ, აფხაზეთში მე იარაღი არ მჭირდებოდა, პირიქით, ამ მხრივ შევიზღუდებოდი კიდევ. აფხაზს რომ სცოდნოდა, რომ მე იარაღს ვატარებდი, აღარ მენდობოდა. იყო ასეთი შემთხვევა - ერთხელ

ჩვეულზე დიდხანს მომიწია აფხაზეთში დარჩენა და რადგან ტანსაცმელი გამიჭუჭყიანდა, საწყობიდან ავიღე სამხედრო ტანსაცმელი და ჩავიცვი. ამ ტანსაცმლით შემთხვევით მოვხვდი სატელევიზიო კადრში. აფხაზებმა უცებ დააფიქსირეს ეს და მკითხეს - შენ ფორმა რატომ გეცვაო? მე ავუხსენი და დამიჯერეს, მაგრამ მთავარია, რომ ამასაც კი მიაქციეს ყურადღება. ე.ი. მათ აუცილებლად ეცოდინებოდათ, იარაღი რომ მქონოდა და აღარ მენდობოდნენ. ეს კი ძალიან შემიშლიდა ხელს ჩემს საქმიანობაში. მე თამამად გადავდიოდი ფრონტის ხაზს როგორც დღისით, ისე ღამით. რაც შეეხება სამართლებრივ კონტექსტს - ომი ჩვენ დავიწყეთ, ქართველებმა, ჩვენ შევედით აფხაზეთში იარაღით და ეს ფაქტი დიდ პასუხისმგებლობას უნდა გვაკისრებდეს აფხაზეთის ომის მიზეზებისა და შედეგების ანალიზის დროს.

კითხვა - "რატომ დადიოდა იგი თეთრი დროშით ფრონტის ხაზზე?"

იმიტომ, რომ ტყვეებს ვცვლიდი და თეთრი დროშა მჭირდებოდა ფრონტის ხაზის გადასკვეთად. მე მქონდა რაციაზე ჩემი სიხშირე. როგორც კი შევთანხმდებოდით შეხვედრაზე რაციით მე და აფხაზური მხარე, ვიღებდი თეთრ დროშას და გავდიოდი მათთან მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკების საგანი პირველ რიგში იყო სოფლებში დარჩენილი ცოცხალი ადამიანების გამოყვანა. თუ ტყვეები ჰყავდათ აყვანილი, მე ვამოწმებდი ტყვეებს, ვახდენდი მათ ინდენტიფიცირებას, რათა მათ არაფერი მოსვლოდათ შემდეგ. ასევე ვიწერდი დაჭრილებისა და დაღუპულების გვარებს. მერე რაღაცნაირად ვთანხმდებოდით, რომ მეორე დღეს ისევ გადავიდოდი და დაღუპულებს გადმოვასვენებდი. როგორც წესი, თუ შევთანხმდებოდით, ეს ყოველთვის სრულდებოდა. ჯამში 3000 კაცზე მეტი მყავს გამოყვანილი და 300-ზე მეტი ტყვე მყავს გაცვლილი, როგორც ქართველი, ისე აფხაზი. მე არასოდეს გამიყვია ისინი ეროვნების მიხედვით. მესამე მოვალეობა იყო დაღუპულთა გადმოსვენება. მეოთხე მოვალეობა იყო უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიება. ჩემი სახელმწიფო სამსახური ამ კონტექსტში 1997 წელს დამთავრდა. აი, ეს ფუნქციები მქონდა და ამიტომ ვიყენებდი თეთრ დროშას, როგორც ეს საერთაშორისო პრაქტიკაშია მიღებული.

კითხვა დარბაზიდან - "ჩვენც არ გვაქვს შანსი შემოერთების?"

შანსი გვქონდა ყოველთვის. საჭიროა თანმიმდევრული და რეგულარული ნაბიჯების გადადგმა. თუ ჩვენ ტახტზე წამოვწექით და ვიძახეთ - ცოლი მინდაო, შევძლებთ ჩვენი სურვილის განხორციელებას? ამისათვის, როგორც მინიმუმ, საჭიროა, ქალს თავი მოვაწონოთ. თუ ჩვენ არანაირი ნაბიჯი არ გადავდგით, აფხაზეთი არ დაგვიბრუნდება თავისთავად. ეს ნაბიჯებია: უნდა მოისპოს საფრთხე საქართველოდან, საქართველო უნდა გახდეს აფხაზების ყოველდღიური და პერსპექტიული უსაფრთხოების გარანტი. ნუ მოვაწერთ ხელს აფხაზებთან უსაფრთხოების საკითხებზე, თუ ამის გაკეთება არ გვინდა. განვაცხადოთ, პარლამენტმა მიიღოს დადგენილება, რომ ქართული მხარე არ დაუშვებს საომარ მოქმედებებს აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუ იქ არ განლაგდება უცხო ქვეყნის ჯარები. მეორე ნაბიჯი - საქართველო უარს ამბობს აფხაზეთის წინააღმდეგ ეკონომიურ სანქციებზე. მაინც არ მუშაობს ეს სანქციები, აფხაზეთს ზღვა არტყია, მატარებლები შედიან, ჩვენ კი გვბრალდება მათი ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევა. მესამე ნაბიჯი - ხელი უნდა შევუწყოთ აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებას. დოკუმენტში, რომელიც წარმოგვიდგინეს აფხაზებმა ("Ключ к будущему"), ბევრი რამ არის მიუღებელი, მაგრამ არის მისაღები პოზიციებიც.

მიუღებელია ის, რაც ძველია, რასაც სულ გაიძახიან (დამოუკიდებლობა და ა.შ.), ხოლო რაც ახალია, საინტერესო და მისაღებია. ანუ აფხაზურ პოლიტიკაში აშკარად იგრძნობა ცვლილებები. და რა არის მისაღები? ისინი შეფარვით გვეუბნებიან: როგორმე დაგვაკავშირეთ ევროპის შესაბამის სტრუქტურებს. ნუ გვთავაზობთ არჩევანს - დასავლეთი თუ რუსეთი; დასავლეთიც და რუსეთიც (დღევანდელ ეტაპზე მაინც). მათ სურთ, როგორმე გამოვიდნენ რუსეთის მარწუხებიდან. დასავლეთი მათ არასოდეს შესთავაზებს სეპარატიზმს. შეიძლება ევროკავშირმა ვინმეს შესთავაზოს სეპარატიზმი, როცა ის აერთიანებს ყველაფერს, რისი გაერთიანებაც შეიძლება? ფული, საზღვრები, ჯარი, პოლიტიკა, კანონი, კონსტიტუცია, ეკონომიკა. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს, რაც შეიძლება მეტი აფხაზი გავუშვათ ევროპაში, რაც შეიძლება მეტმა აფხაზმა ახალგაზრდამ ისწავლოს ევროპული ენები, რომ როგორმე ჩამოვაშოროთ ამ რუსეთს. დამერწმუნეთ, სულ სხვანაირი განწყობით დაბრუნდებიან ეს აფხაზები ევროპიდან. აფხაზობაში უნდა გაქარწყლდეს შიში ნატო-სი და ევროკავშირის; ამ ორგანიზაციებში მათ საკუთარი გადარჩენის გარანტიები უნდა დაინახონ და არა საკუთარი დაღუპვისა. აფხაზებმა ძალიან კარგად იციან ჩემი თვალსაზრისი ყველაფერი ამის შესახებ და ამიტომ ეშინიათ ჩემი პოზიციების.